ბრძოლა სუვერენიტეტისთვის: უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შემთხვევების ანალიზი ონთოლოგიური უსაფრთხოების პრიზმაში (2022-2025)

ცოტნე ჯიქია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დავით დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ცოტნე ჯიქია
19.06.2023.

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს თუ როგორ ხდება 2022 წლის რუსული აგრესიის პარალელურად ონთოლოგიური უსაფრთხოების დინამიკის ტრანსფორმაცია განსხვავებული საერთაშორისო რეაგირების ფონზე უკრაინის მოლდოვასა და საქართველოს მაგალითზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ონთოლოგიური უსაფრთხოების თეორია ტრადიციულად ფსიქოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით სახელმწიფოთა ერთი შეხედვით ირაციონალურ ქმედებათა ახსნას ემსახურება. წინამდებარე კვლევაში კი შესწავლილია შერჩეულ სახელმწიფოთა მაგალითზე მსგავსი საფრთხეების პირობებში ფუნდამენტურად განსხვავებული საფრთხის მენეჯმენტის მიზეზები. კვლევის პროცესში ონთოლოგიური უსაფრთხოების თეორია ანალიტიკური ჩარჩოს ფუნქციას ასრულებს, რომელსაც თან სდევს პროცესთა მიდევნებისა და შემთხვევათა შედარების მეთოდების მეშვეობით გამოკვლეული ოფიციალურ თანამდებობის პირთა ნარატივების, პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიული რეორიენტაციის ანალიზი. კვლევა ეხმიანება ერთის მხრივ უკრაინისა და მოლდოვის მიერ დაჩქარებულ, მეორეს მხრივ კი საქართველოს დასუსტებულ ევრო-ინტეგრაციის პროცესს, მეტწილად მსგავსი პროდასავლური პოზიციონირებისა და ანალოგი საგარეო პოლიტიკური გამოწვევების ფონზე. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ სამივე სახელმწიფოს შემთხვევაში 2022 წლის რუსული აგრესიის საპირწონედ გამოხატული შფოთვა ეგზისტენციალური ხასიათის მატარებელია, ხოლო პოლიტიკური ელიტა კი რუსეთის წარმოჩენას აგრესორად და იმპერიალისტ ძალად ახდენს. ამისდა მიუხედავად კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს შესწავლილ მაღალჩინოსანთა მიერ ისტორიული ტრავმის ფორმულირების საკითხი პროეცირებულ სტრატეგიულ ნარატივებში. უკრაინული ელიტა მისეულ გზავნილებში ტრავმას დასავლური ინტეგრაციის პროცესში ბერკეტად იყენებს, რომლის საფუძველზეც NATO-ში გაწევრიანებას ეგზისტენციალურ აუცილებლობად წარმოაჩენს. მოლდოვას

ხელმძღვანელობა ნაკლებად ახდენს ტრავმის ინსტუმენტალიზებას, თუმცა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისა და ონთოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის ერთადერთ გზად ევროპულ ინტეგრაციას სახავს. ქართული შემთხვევა კი ონთოლოგიური უსაფრთხოების საფუძველზე ფორმირებული ეგზისტენციალური შფოთვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო ვერ ახერხებს შეიმუშაოს ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად ეფექტური პოლიტიკა. კვლევის ერთ-ერთ კონტრიბუციას ონთოლოგიური უსაფრთხოების თეორიისთვის ტრავმის ფაქტორის ანალიზი წარმოადგენს. ამ უკანასკნელის ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის მიერ ინსტრუმენტალიზაციის ფაქტორი მნიშვნელოვან ცვლადად გვევლინება ეგზისტენციალურ შფოთვას სახელმწიფოს ცვლადებად გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. შესაბამისად წინამდებარე კვლევა ონთოლოგიური უსაფრთხოების თეორიის საფუძველზე შესწავლილ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის განსხვავებულ პარადიგმას გვთავაზობს, რომლის საფუძველზეც ახსნადი ხდება მსგავსი საფრთხეების პირობებში განსხვავებული მათი განსხვავებული პოზიციონირება საერთაშორისო არენაზე.

საძიებო სიტყვები: ონთოლოგიური უსაფრთხოება, ეგზისტენციალური შფოთვა, ტრაცმა, ევროპული ინტეგრაცია, რუსული აგრესია

Abstract

This study examines how Russia's 2022 military aggression transformed ontological security dynamics in Eastern Partnership countries, focusing on the divergent foreign policy responses of Ukraine, Moldova, and Georgia. While ontological security theory traditionally explains seemingly irrational state behaviors through psychological frameworks, this research investigates why states experiencing similar external threats adopted fundamentally different strategic approaches. The analysis employs ontological security theory as an analytical framework, supplemented by process tracing and comparative case study methods to examine official narratives, policy decisions, and strategic reorientations. The research addresses a critical puzzle: why Ukraine and Moldova accelerated European integration while Georgia weakened its pro-European trajectory despite facing comparable Russian threats and exhibiting similar pro-European rhetoric. The findings reveal that all three states experienced heightened existential anxiety following the 2022 aggression, with political elites consistently framing Russian threats within historical contexts of imperial domination and territorial violations. However, the critical differentiating factor lies in how each state's political leadership contextualized historical trauma within their strategic narratives. Ukrainian elites leveraged trauma narratives to justify accelerated Western integration, framing European and NATO membership as existential necessities. Moldovan leadership positioned European integration as the pathway to territorial reunification rather than dwelling on Transnistrian separation as national trauma. Conversely, Georgian elites reinterpreted the 2008 war as validating a "pragmatic" approach of avoiding Russian provocation, effectively using historical trauma to justify strategic restraint rather than integration acceleration. One of the research contributions to ontological security theory is the analysis of the trauma factor. The instrumentalization of this latter by local political elites becomes a significant variable in existential anxiety in the state's process of adaptation to a changing environment. Accordingly, the present research offers us a different paradigm of

foreign policy of the studied states based on ontological security theory, on the basis of which their different positioning on the international arena under conditions of similar threats becomes explainable.

Keywords: ontological security, existential anxiety, trauma framing, European integration, Russian aggression